



სსიპ ქალაქ თბილისის №136 საჯარო სკოლა

ქ. თბილისი

18 09 2015 წ.

ბრძანება № 2-208/4

სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 47-ე მუხლის, “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნების და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“, „დ“, „ე“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ – ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების წესი დანართი N1-ის შესაბამისად;
2. დაევალოს სკოლის საქმისმწარმოებელს ამ ბრძანების შესრულების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო
სკოლის დირექტორი:

/ელზა ბადაშვილი/

